

ՄԱՄԼՈՒԹԻ

№4

Կնիւնի սղմողը ընդհանրահա ծագման տուն



შოკოლიტ-სარჩევი:



^ლ
 ღიბ-~~ვ~~ღუღუღ
 იბა მადლობე



¹⁰⁰⁰
 წიკმ-მისლ
 წიკმ-მისლ
 მანამ ჩიკაღენი



²
 რბიკვეღენა
 ღეს ბრეჭობი



⁸
 სკკკკკკმ ~~კ~~ღღღღღღ
 ვახო ბრეჭენი



იუმ და აია
 იუმ და...
 ბივი ჩიღვიბი



⁴
 რიკმ ~~ი~~ღმ
 ნინო სელთბეღეშვიდი



³
 ვიღ ვიღ და ვიუმ...
 ნათია ჯანაშვიდი



³
 ბიბ-~~ვი~~ვი-თეკა
 ბობო კვედი



²
 მადისამ
 მი-ნი-ემ-აი
 დათო აღუენაშვიდი



⁵
 კინო-~~მ~~აჩი
 მანი მახედი



³
 მკკკკკკამ
 მკკ დოკონენი





იზმა მალაქიძე

წიტი - უუღუწო



ნათია ჯანაშია

კმაცმეზიწა


ალან მინდა ამდენი სწავლილო და ჭანხადი, გავიბრდები ისედაც ღონიერი, მაღალი.

ჩემი ძალი გინახავთ? - ძლიერია, ჭკვიანი. აბა, ჰკითხეთ თუ უყვარს ბოსტნეულის წვნიანი?

წუნჯი თაგვი რომ გვიმბერს ცარი თვარით სოროდან, აბა, ჰკითხეთ, ყოფიდა ერთხელ სწომასწოდოგთან?

მე ვი მეუბნებიან, გაიფუქებ კბილსაო, თუ ყოველდღე დაკვნიცავ კანფეტებს და თხილსაო.

ის მაქამეთ, რაც მიყვარს, რაც არასდროს მწყინდება, რა ჯობია, ყედი რომ ჩამიკოვლობინდება.



მათე გილის სკოლაში

ნანა მასკიაძე



მამალმა თქვა: – გათენდა,
გააღვიძეთ მათე და...
ჩაულაგეთ ჩანთაო,
ზარმაცი არ ჩანდაო!

– ფანქრები და კალამიც,
– მათეს ჩვენი სალაში! –
სიტყვა უთქვამთ მაჩვენსო,
– საშლელიც არ დარჩესო.

იხმა: – ვის გაქვთ ნიჭიო,
გამოაწყობთ ბიჭიო?
შველმა სახელდახლოდ,
გაუსწორა სახელო.

ბუმ მიუზო: – ვახსოვდეს,
დაფიქრება გმართებსო –
ცინცხალ ნიგნებს სკოლაში
მიართმევენ მათესო.

– ნიგნები შინ
დარჩაო,
ვაი, ჩვენ თავს!
– ყანჩამო.

მელამ: – მოვალ ბოლოსო,
ვერ დაეტოვებ სოროსო,
იქამდე გაკვეთილი
ბადაიმეოროსო.

პასი მუდელი

ჩანთა

კენგურუს შეხვდა ბაჭია,
კრეჭია, ყურებცანცარა.
გახარებული ხტუნავდა,
სიტყვის თქმაც აღარ აცალა:

ჩანთაც მაქვს, თანაც ისეთი,
მხარზე რომ გადავიკიდო...
შენც ხომ მიდიხარ სკოლაში,
ჩანთა არ უნდა გიყიდონ?

- მე წელს სკოლაში მივდივარ,
პირველკლასელი ვიქნები.
დედიკომ უკვე მიყიდა
რვეულები და წიგნები.

კენგურუმ უთხრა: - რად მინდა
ყიდვა სასკოლო ჩანთისო?
მუცელზე რომ მაქვს, აქ უფრო
ბევრი წიგნები ჩადისო!

მანია კახსელი

სახლობანა

ის-ის იყო, შუკუდექი
მაგადითის გამოყვანას,
მითხრეს თეამ და მანანამ:
- ვითამაშოთ სახლობანა!
შენ ბაბუა იყავი და
ჩვენ ვიქნებით დეიდები,
აქ მოვანყობთ მყუდრო ბინას,
ამ ოთახში დავსახდებით.
ეს ხავერდის დათუნია,
მოდო, იყოს ჩვენი შვიდი!
მაგიდაზე დავაძინოთ,
არ გაუფრთხოს ვინმემ ძიდი!

წიგნი თავქვეშ ამოუდეს,
დააფარეს რვეულები.
ჩანთას ხსნიან,
სკამს მართმევენ,
არ მაცდიან სწავლას დები...
ამათ ხედში ვერასოდეს
ათოსანი ვერ გახდები!



წითელი ვაჭახი

ლოლა ცუცქერიძე

ერთ სკოლაში ბავშვებს ძალიან უცნაური მასწავლებელი ჰყავდათ. არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი წითელი ფანქარი!

წითელ ფანქარს ყველაზე მეტად სხვებისთვის ჭკუის სწავლება, შენიშვნების მიცემა და საკლასო რვეულების წითლად გადაჭრელება უყვარდა. თანაც ისეთი ბრაზიანი იყო, ისეთი მკაცრი, რომ სკოლის დირექტორიც კი, მის დანახვაზე ყურებად წითლდებოდა და ნერვიულობისგან ფრჩხილებს იკვნეტდა.

ჩანთაში წითელ ფანქარს მობილურთან, სარკესთან და წითელ პომადასთან ერთად ყოველთვის ედო ჩვეულებრივი სათლელი: წვერი რომ დამიბლაგვდეს ან მომტყდეს, ხომ უნდა წავითალო. წვერნათილი უფრო ლამაზი ვარ, თანაც უკეთესად ვმუშაობო.

მუშაობით კი იცოცხლებით! დღეც მუშაობდა და ღამეც. აჭრელებდა და აჭრელებდა წითლად ბავშვების რვეულებს, აჭრელებდა აჭრელებდა...

ღამენათევს ხანდახან, გაკვეთილზე ჩაეძინებოდა-ხოლმე, მაგრამ ამას ნაკლად სულაც არ თვლიდა: რა ვქნა, ბევრს ვმუშაობ და ძალიან ვიღლებო.

საწყალი ბავშვები!


მნიშვნელობა არ ჰქონდა, იცოდნენ თუ არა გაკვეთილი, მაინც დაბალ ქულებს იღებდნენ. გულს იმითლა იოხებდნენ, რომ როცა წითელი ფანქარი თვალს მილულავდა, რომელიმე გაბედული მიეპარებოდა და წკაპ! წვერს წაატეხდა, იქნებ ცოტა ხნით მაინც დავისვენოთო, მაგრამ რა!

გაახელდა თვალს წითელი ფანქარი, ჩანთიდან ამოიღებდა სარკეს, ჩაიხედავდა, მერე სათლელში ჩაძვრებოდა და, ბზრრ! წვერს ისევ წაინვეტებდა.

დრო გადიოდა. სკოლაში ყველაფერი ისე აირ-დაირია, რომ ერთხელ ეს სკოლა ერთ-ერთმა ცნობილმა არხმაც აჩვენა, როგორც ქალაქში ყველაზე ჩამორჩენილი სკოლა.

წითელ ფანქარს ეს ამბავი არ აღელვებდა, ძველებურად წითლად აჭრელებდა რვეულებს, ითლიდა წვერს და ვერც ამჩნევდა, ამდენი თლისგან თანდათან რომ პატარავდებოდა.

ჰოდა, ერთხელაც აი, რა მოხდა:



შევიდა წითელი ფანჯარი კლასში, გამოიძახა მოსწავლე დაფასთან, ახალი, მაღალქუსლიანი, წითელი ფეხსაცმელებით გაიარ-გამოიარა, მერე მაგიდასთან ჩამოჯდა და თვალები მილულა.

„ახლა გიჩვენებ სეირსო,“ – მიეპარა ერთი პატარა ბიჭი და წკაპ! – წვერი წაატეხა.

ზარი დაირეკა. წითელმა ფანჯარმა თვალი გაახილა თუ არა, სარკეში ჩაიხედა, ოჰ, წვერი წასათლელი მაქვსო, გაიფიქრა, ჩაძვრა სათლელში და ბზრრ! როგორც თვითონ იტყოდა, ბალერინასავით დაბზრიალდა.

დაბზრიალდა და...

გ ა ქ რ ა !



წიგნი უკვე წაიკითხა



მარიამ წიკლაური

ნიკმ-ნიკმს ნიკმ-ნიკმს

1000

მელიას

უცნაური სორო

იყო არა, იყო რა,
სულ ზღაპრების ბრალია,
მელას რომ აბრალებენ
წუნკიანო ძალიან.

რომ საქათმის ძირსა თხრის,
რომ მუსრს ავლებს წინილებს,
რომ თუ ქათამს არ შეჭამს,
ისე ვერ დაიძინებს.

ჰოდა, ერთმა წინილამ
ერთ დღეს ტყისკენ გასწია.
თქვა, ვნახავო, გავიცნობ,
ეს მელა რა კაცია?!

ცხრა მთა გადაიარა,
მელას სოროს მიადგა:
მელამ კარი გაუღო,
მერე სკამიც მიართვა.

ხედავს, წიგნით სავსეა
თაროები, მაგიდა.
სიმშვიდეა სოროში,
მელა უზის საკითხავს.

აქ კალმები აწყვია,
იქ ფურცლები, დავთრები.
ყველა წიგნებს კითხულობს:
ციყვი, მგელი, დათვები.

ჩაით გაუმასპინძლდა,
გადმოუნყო წიგნები,
ბევრი ათვალიერეს,
ტომები და ციკლები.

ეს თხელი ყდა, ეს სქელი
ეს ტიტული, ფორზაცი,
ეს ყუა, ეს სანიშნი,
ეს დიდის, ეს მოზარდის.

რის ჩიჩია, რა შიში,
რის წრუნუნას ღვებელი?
წელში განყდა, უთუოდ
ამ წიგნების შეძენით!

გაუხსნია მელიას
სახლში ბიბლიოთეკა!
არც წუნკობს, არც მსუნაგობს,
როგორც ადრე, ოდესღაც.

ბევრი წიგნი უკითხავს
და კეთილიც გამხდარა,
წიგნის კითხვას აჩვევსო
ტყეში ყველა ამხანაგს.

ჰოდა, ჩვენი წინილაც
წიგნიერი იქნება!
იყო, არა იყო რა,
ასე იცის წიგნებმა!

ნიკმ-ნიკმს ნიკმ-ნიკმს

წიგნის გვერდი ის ფურცლებია, რაზეც დაბეჭდილია ტექსტი. წიგნის გვერდები დანომრილია. წიგნს გააჩნია სპეციფიკური გვერდის და სანწევის, აქვს პასპორტის და შტრიხკოდიც.


ყდა ანუ „წიგნის საკვერდელი“ (სუღსან-საბა) - მუყაოს, ცყავის ან სხვა მასალისგან გაკეთებული გარსი, რომელშიც ჩასმულია წიგნი.

ადამიანებივით, ნიგნებსაც ჰყავთ წინაპრები. თქვენ დამაბ, ფერად თუ შავ-თეთრ, იდუს-წინრებულ თუ უნახაწო, თხედ თუ სქედდიან ნიგნებსაც ჰყავდათ პაპის პაპის პაპის პაპა ნიგნები! როგორც ადამიანები იცვლიდნენ გარეგნობას, ვარცხნილობას, სამოსს, სამუშაო იარაღს, ცხოვრების წესს, ბუსყად ასევე იქცეოდნენ ნიგნებიც. ნიგნის ისტორიაც ისეთივე საინ-წერესოა, როგორც კაცობრიობის ისტორია. მაინც რა რის ნიგნი, როდის ადამიანის საუკეთესო მეგობრად ითვდება? ნიგნი ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების, განათლებისა და აღზრდის საშუალებაა. ტექსტები ფურცლებზე გამოისახება ასოებით, იეროგლიფებით. არსებობს ნიგნები უსინათლოთათვის, რომლებიც ინერება სპეციალური ბრაილის შრიფტით.

არავინ იცის, რამდენი ნიგნია გამოცემული დედამიწაზე. ისინიც ადამიანებივით გამრავლდნენ, განსაკუთრებით კი საბეჭდი მანქანის გამოგონების შემდეგ. ეს ჯადოსნური დანადგარი გერმანელმა გამომგონებელმა იოჰან გუტენბერგმა შექმნა. პირველი ნიგნები სტრასბურგში 1440-1445 წლებში გამოსცა. 1629 წელს პირველი ნაბეჭდი ქართული ნიგნი დამზადდა რომში. ეს იყო ქართული ანბანი ლოცვებითურთ და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. მე-18 საუკუნეში თბილისშიც მოეწყო სტამბა და უკვე 1709 წელს დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“ და „ვეფხისტყაოსანი“. ნიგნებმა, შეიძლება, მადლობაც კი გადაუხადონ ჩინლებს ქალაქის გამომგონებისთვის, თორემ დღესაც, ვინ იცის, რა წონისანი იქნებოდნენ თქვენი სახელმძღვანელოები, უწინდებურად ქვებისა და თიხის ფირფიტებისაგან რომ დაემზადებინათ?!

ადრე ქალაქის წარმოებისთვის ძირითადად ხის მერქანს იყენებდნენ. მაგრა დღეს უკვე გამოიყენება ნამჯაც, მაკულატურა ანუ დაძველებული ქალაქი, ძველი ტანსაცმელიც. ასე რომ, აუცილებელი სულაც არაა, თუნდაც „მოკოლიტისთვის“, ტყეში ხეების მოჭრა. ადამიანები ნიგნებს უკავშირებენ თვინათ საქმიანობას: მათ ჰქვიათ მწერლები, ილუსტრატორები, გამომცემლები, რედაქტორები, დიზაინერები, დამკაბადონებლები, მესტამბეები, ბიბლიოთეკარები, ნიგნის ბაზრობებისა და ფესტივლების ორგანიზატორები, ნიგნის გამავრცელებლები, გამყიდველები, ბუკინისტები, კონსულტანტები და სხვა.

ნიგნის აგებულება



ფორზაცი - მკვირი ფურცელი, რომელიც ყდას აკავშირებს გვერდების აკინძულ ბლოკთან და ნიგნის განაპირა გვერდებს იცავს გაქუჭყიაინებისაგან.

ყუსი - ნიგნის მარცხენა ნაწიბური, საიდანაც არის აკინძული ნიგნის შემადგენელი რვეულები. ყუსი ერთგვარი ხილია წინა და უკანა ყდებს შორის.

ჩოჩქოლი ანბანქალაქი

მთაში, ბარში, ზღვაზე... მოგზაურობა ყველგან კარგია, მაგრამ არსებობს ისეთი მხარე, სადაც ანბანის გარეშე ვერ იმოგზაურებ. რა ადგილია ასეთი ჯადოსნური და საოცარი? ეს ყველასგან გამორჩეული, საინტერესო ანბანქალაქია! იქ ყოველი დღე ჰიმნით, ანუ ანბანის გამეორებით იწყება. ამას მოჰყვება ერთობ დიდებული საზეიმო მსვლელობა, რომლის დროსაც ანბანის ოცდაცამეტივე ასო ამაყად ჩაივლის გრამატიკის გამზირსა და ფრიად სწავლულთა ქუჩის კვეთაზე მდებარე ქართული საგანძურის მოედანზე.

და ეს ყველაფერი როდია – აქ, ამ ქალაქში, დღის მანძილზე იმდენი საინტერესო რამ ხდება!.. კალამი თვითონ იწყებს ამ ამბების ზღაპრად ქცევას. ჰოდა, როდემდე უნდა დასჯერდე შორიდან ცქერას? კეთილი იყოს შენი მობრძანება და ჩვენი დახვედრა ანბანქალაქის გალავნის ჭიშკართან მოსულ პატარავ!

ანბანქალაქში დიდიდანვე დიდი ამბავია, ერთი ჩოჩქოლი და რია-რიაა, რადგან ხ-ს თავის წინ მდგომი ა თვალში ეპატარავა, პირველობა მოინდომა და: – თუ ბიჭი ხარ, შემეჯიბრე, მოდი ერთი, ამ თოკის ბოლოს მოეჭიდეო! – ნიშნის მოგებით მიაძახა.

ა-ტანით მართლაც კი იყო ხ-ზე ჩია და პატარა, მაგრამ ვაჟკაცობა არ აკლდა და თოკს, რაც შეეძლო, მაგრად ჩაებლაუჭა.

დაინყო განევ-გამონევა. ვინც თოკს თავისკენ გადასძლევდა, გამარჯვებაც მას ერგებოდა. გამარჯვებული ანბანის თავში მოექცეოდა, ამაზე უკეთესი ჯილდო ანბანქალაქში, აბა, რა უნდა ყოფილიყო?! ბრძოლა თავიდანვე უთანასწოროდ დაინყო. წესების თანახმად, მოძმეთა დახმარება დაშვებული იყო, ამიტომ სულ მალე თოკის მარჯვენა მხარეს ხმოვნები: a, e, i, o, u, მარცხნივ კი თანხმოვნების მთელი ბრბო ჩამწკრივდა. ოცდარვა



ხუთს რომ აჯობებდა და თოკს თავისკენ გადასწევდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. არა-და, იცოცხლეთ, სეირის საყურებლად ბევრზე უფრო ბევრი ცნობისმოყვარე შეკრებილიყო.

– კიდევ რომ გაიმარჯვოთ, მაგ გამარჯვებას ჩალის ფასი აქვს, რადგან თქვენ ჩვენს გარეშე, აბა, რას წარმოადგენთ! – თანხმობების გასაბრაზებლად ომახიანად გაიძახოდნენ ხმოვნები.

– ცოტა ბევრს როგორ აჯობებს?! არაფერი გამოგივით, ჩვენ ვერასდროს გვაჯობებთ! ჰი-ჰი, ჰა-ჰაა... – თანხმობები სიცილით მანამ იჭაჭებოდნენ, ვიდრე ა-ს i არ წამოეშველა:

– „აია“, „აი ია“ – ხედავთ, ჩვენ უთქვენოდაც ვამბობთ სათქმელს, თქვენ კი, თუმცა ბევრს ბაქიბუქობთ, ხმოვნების გარეშე ერთი სიტყვაც ვერ გითქვამთ.

დიდხანს ეწვალნენ თანხმობები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ – სიტყვას ვინ ჩივის, უხმოვნოდ მარცვალაც ვერ ამოთქვეს. ჰოდა, მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და შერცხვათ და ა-ს პირველობა ერთხმად მიულოცეს.

სახალისო დაჯილქა

ბავშვებო! ხმოვნებმა და თანხმობებმა რომ აღარ იჩხუბონ ყველანი თავ-თავიანთ ზარდახმებში დააბინაჟე. ყველაზე მოძიწროში ხმოვნები უნდა ჩაწერონ. აი, სწამებო ზომის ზარდახმებში ჩი ის გეძრიედი სიფყვან ჩაწერო, რომეც თურნაღსაჯ ახდა ჩითხუღობ. დიდი ზარდახმა წარიედი ხომ არ იქნება? „მოყოღიეში“ რა თანხმობებიცაა, ყველა იქ დააბინაჟე.

Z b e s l k d g i n r S m u z j p a r



გამართლებული მინა

გავიხედე მასში –
ჰოდა,
საშინელი სიზმრის მსგავსად,
ჩემი თითი ჩემსკენ მოდის,
დიდ ბეჭემოს დაემსგავსა.

ფისო დავსვი კალთაში და
ეს რა ვნახე სახილავი –
შიშით ლამის გადავვარდი,
სკამი გადავაყირავე!

ჩემს რვეულშიც ჩავიხედე,
აქ რა არის, ვნახო ერთი –
შიშით ენა დამება და
გაოცებით მივაშტერდი:

ორიანი
კოშკზე დიდი!
მაგიდაზე ამოზრდილი,
დავინახე გამადიდე –
დიდე-დიდებელი მინით!

თარგმნა ჯასო გუჯარძა



წოვი

იან ბუხუა

ინმინდება, ირეცხება,
თუ დაფრინავს, თუ ზის,
ეს ვინ არის, „სისუფთავის“
მოყვარული ბუზი?
კვირა დილით მურაბაში ბანაობს,
ორშაბათს კი – ალუბლის წვენს ივლებს,
სამშაბათ დღეს კვერცხის ქაფზე ქანაობს,
ოთხშაბათს – სახლს ხეხვა-ბერტყვით იკლებს.
ხუთშაბათს რომ მაყვლის წვენში დაცურავს,
მერე ფქვილში გორავს, როგორც გუფთა,
პარასკევ დღეს მელანს ისხამს კაცურად
და თან უკვირს, რატომ არ ვარ სუფთა?
ფრთებს იფერთხავს, ინმენდს, დიდი ხანია,
მაგრამ ბუზი მაინც ჭუჭყიანია!

თარგმანი დავი მუხაძის



სამყარო

საყვარელი წიგნი



ის ორი ბალიში, დიდი და პატარა,
სად იყო, სად არა
რაფაზე ამძვრალა.

პატარა შვილია, დიდია დედა,
რაფაზე გვერდიგვერდ ლამაზად სხედან.

ნისკარტი ასწია ორთავემ მაღლა
გასცქერენ, რა ხდება გამომლა, გაღმა.

ხალხს თურმე ბატები ჰგონიათ ისინი,
თავს რომ არ ილლიან ფრენით და სისინით.

რაფაზე
აბა, მზე რას შვება ნეტავ?
აფუეებს ბალიშ შვილს და ბალიშ დედას.

თარგმანი მარიამ ნიჭაურის

საქართველოს ენის დაცვის ცენტრი




ვასო გულოყუჩი

სახეშეშო მუკონარია ბუტენბროდი



აი, სიღის დროს მოვიდა. სახეშეშის, ზანტუხის განთობა და მხინჯიერება! სახეშეშ-
დას, დიდას ცხობილო ძიდა! დროა, სწავდა დაუბნოუნდეთ.
აღბათ, ყველაზე მუხად მანხე უთქონა ადრინადად გაღვიობა გვეზარება ხოლმე, არა?
თანხა, სიღაში წასვადმე საუხეშო რამ უნდა მოასწრო. ვიხე, ბეჯინ არ უყვანს დიდათ
საუხეშობა, არადა, რომ იცოდეთ, როგორ მხინჯიეროვანია! ამიხომ, რეაღეთ, მცინოვ მანხე
წახეშლთ და მშობრი არ წახვიდეთ სიღაში. თუქა, ისე ვიხე, რომ ბეჯინ უყვანს სიღაში
გაყოფილ რაბი სასუნსაჲო. აი, რთ ბავშვი ვიხელობ - სანდრო ჭეჯინ. სიღაში ყოველთვის
მიაქვი ვაქვანა ჯონცეგინოთ რაბი სეჭედი - ვაქვი, ორცხობიდა ან ბუტენბროდი. რა-
გონი იო დროს იხეღეთ, სეღ ისუნსება. მანხეცადმანხე გაქვითიხე სე მინოთმეკთ, მავრამ
დასეგინებაჲო, რაქვამან არა? ამიხომ, დღეს ყველაზე მოსახერხებელი და თანხე გემოიღი
სეგინის მომხადებელ განსავადთ, რომედი არა მხოლოდ სიღაში, არამედ მგზავრობისასაც
მეგობრათ გაყოფილთ. დაქვინსუნეთ, მშვიტობად წახეშლეთ და დასახეღებთ.
აღბათ, მხვდით - ბუტენბროდს ვეუცხობობ.



მისი სახეში გრამსუნადან მეტოვიდა და იარაქი და ზურს ნიშნავს. ცრადი-
ცოყი ბუტენბროდი სწორედ იარაქიანი ზურია. თუქა, ბუტენბროდი დღეს ძაღზე
მრავადეგინოვანია - ხორცი, თეგის, ზოცეგინის, რძის ზროლუქეგინ... ბუტენ-
ბროდისთვის ხორბლის ან ქევილი ზური გამოიყენება. მომხადებელ ფორმის მხეღვით
ორგვანია - ღია და დასახეღა.
დასახეღი ბუტენბროდი სეღეგინი - ზურის ორ სეჭეგინ მორის რთ ან რამ-
ღეშიე თეხად მოთავსებულ სეღეგინსაჲო გეღსართი. სეღეგინი ისეღეგინი ბუტენ-
ბროდი, მისი ფრანგული სახეობა იროი-მეიო - ცხედი ბუტენბროდი ღოთით და
ყვედათ. ხოლო იხეღეგინი მღევი ცხედი ბუტენბროდს ვანისის უხეღებელ და იგი
სეღეგინად იხეღეგინი თუთნი ზურისგან, რიხეგინსაჲო მხადებელს.





ვიდრე ბუფერბროლდს მარცხივი სხეობის მომზადებას ვისწავდით, რამდენიმე სანელებელს და სხვადასო ამბავს მოგიყვებით:

მ ა გ ა დ ი თ ა დ
მსოფლიოში ჯერჯერ
რობით ყველაზე დიდი
ბუფერბროლდი რიბა-
ნის ერთ სოფელში
დაამზადეს და მი-
სო სიგრძე 720 მეტრი
გახდდა.

ერთ-ერთმა ბრი-
ცანულმა სუპერმარკე-
ტების ქსელმა მუსიკა-
ლური ბუფერბროლები
დაამზადა, რომლებიც
შეუთვლიდნენ ამოღე-
ბის შემდეგ საშობაო
მელოდის უკრავდნენ.

ამერიკაში
„პოპულარული“
„პოპულარული“
„პოპულარული“
დაპირველად
ფრანკო-აშუაშუა
და დაამზადა. გერმან-
იამ რიბონსებმა
ამერიკაში შეიქმნა და
მეცხრამეტე საუკუნის ბო-
ლოდნ უკვე ძალიან პო-
პულარული გახდა.



ახლა ეს რამდენიმე მარცხივი ბუფერბროლდი დავამზადოთ, რომელსაც
არა მხოლოდ სკოლაში გაიყიდებთ, სხვაშიც გემოიქნება მიირობეთ.

ავიღოთ ჰურის ორი ერთნაირი ნაჭერი. ერთზე დავაძვლოთ, რა
მავივარში ვიქნება - ყველი, ძეხვის ნაჭერი, ორავულის ნაჭერი, კიჭრის
წნილი, მწვანე წიფი, ჰოშილორი, სანათის ფოთლები... შევიძლია დავამზადოთ
ცომაცხი, მათხეხი ან მღოვი. დავაძლოთ მკორე ნაჭერი და გემოიქნება
მივირობათ.

ცხელი ბუფერბროლდის მოსამზადებლად ჰურის
ნაჭერზე დავაძლოთ ღორი, ყველის ნაჭერი, დავაძლოთ
მკორე ჰური და ვავათხოთ, ვიდრე ყველი ვაძვება.

სენდვიჩის მოსამზადებლად ავიღოთ ჰურის ბა-
ცონის ყუა, სანახევროდ ჩავჭრათ და ჩავაძლოთ ღორის
ან ძეხვის ნაჭერები, ჩავანყოთ სანათის ფოთლები, და-
ვამზადოთ ყველი და ვავათხოთ.

„პოპულარული“ ეს ყველაზე მარცხივი მოსამზადებე-
ლია. სპეციალური ჰური (ან ბაცონის ყუა) გვერდიდან
ჩავჭრათ, ჩავაძლოთ შებრახული სოსისი ან სარდელი და
მოვასხათ ყუჩხუმი, მათხეხი ან მღოვი.


ესეც ასე. ახლა შევიძლიათ მშვიდად იყოთ - სკოლა-
ში არ მოგშივართ.

მოკბიხი ბუფერბრო-
ლი, რომელსაც ქაღალდის
მარიალის გამოსახებებს
ჩანდა, რამდენიმე წლის
წინ აუქციონზე 28 ათას
დოლარად გაიყიდა. თა-
ვად ბუფერბროლდი ეს 10 წლის
დაამზადებული იყო.

გოჭი კაუზუნი

კაფეში ზის გოჭუნია,
რა შეჭამოს, ვერ ირჩევს.
ჯერ მიადგა ბუტერბროლებს,
მერე - ყველის სენდვიჩებს.

არც „პოპულარული“ დაინუნა
სოსისით და სარდელით.
რა მუცელში ჩაუვიდა
ეს საჭმელი ამდენი!



შეშენი



ვასო გულეუზი

მ ზ შ ა ბ ა თ ი



ზაალ სულაკაური



მარიამ ნიკლაური

მ თ ხ შ ა ბ ა თ ი




გიორგი კეკელიძე

ნინო საღ

ბ ა რ ა ს



ნათია ჯანაშია



გივი ზღვიანაძე

კრები

ს ა მ შ ა ბ ა თ ი



იზმა პელაციძე



მარი გახელოძე



დავით ალთუნაშვილი

ს ა მ შ ა ბ ა თ ი



ღობეგაშვილი



ლელა ცუცქიზიძე

კ ე ვ ო



მეკა ლდოკონენი



ზობი მესხი



ჩემო საღობო ბელაშვილი

ზა კიციტ
„მინაური მცენარეების“ შესახებ?


საქდასო ოთახი ბევრი საჭირო ნივთს განსაზღვრავს – მერხები, სკამები, დავა, თვალსაჩინო ბები... თუმცა, რა ოთახია ის ოთახი, სადაც რაფა ბზე ჩამსწერივბუდი ქოთნის ყვავილები არაა? ასეთ „მწვანე“ ოთახებში უფრო მეტი უნდა იყოს, მეტი სისუფთავე და არ გავივირდეთ – მეტი ქვრგი-ავ! ახალი სასწავლო წლის დასწყისთან ერთად ქოთნის ყვავილებიც უნდა განვანახოთ.

თუ წაგიკითხავთ თეა ლომადის წიგნი „ერთი პატარა სასწაული“, მაშინ კარგად გემახსოვრებათ, როგორ უყვარდა წიგნის გმირის, ანას დედა ოთახის ყვავილები. „რა აღარ ჰქონდა: ახალია, ტიტა, აპელანდრა, ფიტოლია...“ – ეს ფრაგმენტი ამ წიგნიდან და იმედია, თუ ჯერ არ წაგიკითხავთ, გირჩევთ, აუცილებლად წაიკითხოთ.

ქოთნის ყვავილები განსაკუთრებული მცენარეები არიან – ისინი მოშინაურებულ ცხოველებს გვანან – საკვები წყლის და სათანადო ტემპერატურის გარდა ჩვენგან, ანუ მათი მომვლელი-სგან კიდევ უფრო მეტს – ზრუნვას და სითბოს, სიყვარულს ითხოვენ. მათ და მათ პატრონებს შორის რაღაც აუხსნელი ურთიერთობა ყალიბდება ხოლმე, რომელიც ორივეს არსებობაზე აისახება...

საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ მოვუაროთ ქოთნის ყვავილებს. ამისთვის ინტერნეტშიც იპოვით მასალას და შესაბამის წიგნებშიც. სასურველია, თუ გამოცდილ ფლორისტებსაც დაეკითხებით რჩევებს. საჭიროა ნიადაგის, ოთახის ტემპერატურის, წყლის რაოდენობის, მზის და მთვარის ფაზების გათვალისწინებაც კი. სწორად უნდა შეარჩიოთ მათი გადარგვის დრო, მცენარეებს უნდა აცადოთ, მიეჩვიონ ახალ ნიადაგს, მეზობლებს, რომლებსაც მათ გვერდით მიუჩინებთ ადგილს. თითოეულ მცენარეს მოვლის თავისებური წესი აქვს, ამიტომ, ყურადღებით უნდა იყოთ. ამ ზრუნვაში კი, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილებაა ყალიბდება – ბუნებასთან ურთიერთობა. თქვენ ბუნების ქომავად იქცევით, რადგან საკუთარი თვლით გექნებათ ნანახი, თუ როგორ სპობს უმწეო, მაგრამ ულამაზეს მცენარეს პანანინა უყურადღებობაც კი. თქვენ გარესამყაროს მოშინაურებთ თქვენს ოთახებში – რა უნდა იყოს ამაზე კარგი და მნიშვნელოვანი!





გუი ჩილენაძე

ქართული ფოლკლორი

თქმულება

თქმულება ხაზს უსვამს სიყვარულის ერთ-ერთი ანბანს, პირობას, პოეტური ან შერეული სახით წარმოდგენილი. თქმულება შეიძლება იყოს ისტორიული, საგმირო, სოციალური და სხვა. გთავაზობთ რამდენიმე ქართულ თქმულებას.

მათომ ამ იზმულა შინდი მალალი

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს დათვმა ბუნაგიდან თავი გამოჰყო, გაიხედ-გამოიხედა ტყეში და დაინახა, რომ მარტო შინდის ყვავილი გაშლილიყო. გაიფიქრა: ყველაზე ადრე ეს აყვავებულა, ალბათ ყველაზე ადრეც ეს დამნიფდებაო. დანვა მის ქვეშ და დაუნყო ლოდინი დამნიფებას.

გავიდა კვირები, თვეები, მაგრამ შინდი არ მნიფდა. ერთ დღეს ცა მოიღრუბლა, წამოვიდა დიდი წვიმა და ნიაღვრები, შეხედა დათვმა ნიაღვარს და რას ხედავს! – წყალს მნიფე პანტა მოაქვს. წამოხტა გაჯავრებული და შინდი ჩამოლენა. ამბობენ, რომ მას აქეთ შინდის ხე დიდი ველარ იზრდება.



გუდა სჯობს თუ გოდორი

ზედა აჭარლები ანუ ზეგნელები გუდას ხმარობდნენ, ქვემო აჭარლები და მაჭახლები – გოდორს. ამიტომ მაჭახლები ზეგნელებს გუდიანებს ეძახოდნენ, ზეგნელები კი მათ ეძახოდნენ გოდრიანებს. ამაზე ბევრჯერ ამტყდარა ჩხუბი, ატეხილა დავა – გუდა სჯობს თუ გოდორიო.

ერთხელ საქმე სასამართლოზე გაუტანიათ. სასამართლომ უფრო კარგი გოდორი გამოიყვანა თურმე. მაშინ ზედა აჭარლებს გუდით წყალი შემოუტანიათ, – ჩვენ გუდით გოდრის საქმესაც ვაკეთებთ და, აბა, გოდორმა გუდასავით წყალი შემოიტანოსო.

რალა ეთქმოდათ მოსამართლეებს? – ასე მოუგია დავა გუდას.



guda – რაიმე ცხოველის ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელი.
godori – წნელის ტყეჩისაგან მოწნული დიდი ჭურჭელი.




ლ ბიბ-ლიო-თეკა

აბა, კარგი გამარჯობა ბავშვებო!
მე გუდასანი კაცი ვარ, ოღონდ გუდაში, ასეთი ბედი მერგო, რომ ჯადოქრების
ნაცვლად, სულ წიგნები მიდევს. ისე, კაცმა რომ თქვას, წიგნებზე დიდი
ჯადოსნობა რას ან ვის შეუძლია? არც არავის!
ამიჯომაც, დღეიდან, წიგნების ყველაზე დიდი სახლიდან, რომელსაც ეროვნული
ბიბლიოთეკა ჰქვია, წიგნებზე საინფერესო რალაც-რულაცებს მოგიყვებით.

წიგნი - რალაც ნაწარმოების შეფუთვას,
მონოლების ფორმას - ღუქის, მოთხრობის და
სხე შემდეგ. ადრე ბეპირად გადასცემდნენ ერთამენთს
ჩვენი წინაპრები ამ ცექსცებს, მერე ხედნაწერით,
მერე ბექლურად და ახლაც ელექტორნულად - აი, იმ მოციმციმე
კომპიუტერით, თქვენ რომ ძადიან გიყვანთ.
„იყო და არა იყო რა, ღუთის უკეთესი რა იქნებოდა“ -
ყველგან ერთნაირად წერია. ამიჯომაც მთავარია იკითხოთ და
მოისმინოთ. ფორმაც გემოვნების ამბავია.
თუმცა დღეს მხოლოდ ბექლურ წიგნებზე მოგიყვებით. თან
ისეთებზე, მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში რომ ინახება,
ღიიიდებზე და ციქნებზე.



ყველაზე დიდი წიგნი წიგნები



ყველაზე დიდი წიგნი გახლავთ „ხელოვნების ისტორია არქიტექტურული ძეგლების მიხედვით“, მისი სიგრძე 50 სმ-ია, სიგანე – 32, სიმაღლე – 19 და 18 კილოგრამს იწონის; ერთ ტომად 6 წიგნია აკინძული. 1025 გვერდიდან 325-ში ილუსტრაციაა ჩართული. მისი ავტორი ფრანგმა ხელოვნებათმცოდნე სერუ დ'აჟენკურია (1730-1814 წწ.), რომელმაც ამ ნაშრომზე 35 წელი იმუშავა. ამ მიზნით ის მოგზაურობდა ინგლისში, ფლანდრიაში, ჰოლანდიაში თუ იტალიაში.

წიგნი პარიზში 1823 წელს დაიბეჭდა.

მასში შესული ჩანახატების უმრავლესობა იმ ძეგლებიდანაა შესრულებული, რომელთაგან ზოგი აღარც არსებობს. სიდიდითაც და შინაარსობრივადაც ამ წიგნს უკავშირდება ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850 წწ.) ატლასი. მისი ავტორიც – შვეიცარიელი გეოლოგი დიუბუა დე მონპერე სიძველეთა მკვლევარი და მოგზაურია. 1831 -1834 წლებში მან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ყირიმსა და ამიერკავკასიაში იმოგზაურა. დიუბუა დე მონპერე საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარი, საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკის შემდგენელია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებსაც. სწავლობდა ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

დიუბუა დე მონპერეს დიდი ატლასი „მოგზაურობა კავკასიაში ჩერქეზებთან, აფხაზებთან, კოლხიდაში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში“ შვეიცარიაში დაიბეჭდა. 1838 წელს ამ ნაშრომმა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების პრიზი მიიღო. 1839-1845 წლებში, პარიზშივე, ის ექვს წიგნად გამოქვეყნდა. ამ გამოცემის 5 ტომი იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის კოლექციაშია დაცული.

ყველაზე სიხანა წიგნები

რაც შეეხება ციცქნა წიგნებს – მათ მინიატურულ გამოცემებს ეძახიან. მინიატურული წიგნის ზომები იცვლება ქვეყნების მიხედვით: რუსეთში ამ წიგნის სიგანე და სიმაღლე 100 მილიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ევროპის ქვეყნებში კი ეს ზომა 2 დიუმამდე, ანუ 76 მილიმეტრამდე მცირდება. მცირე ზომის გამო, მათი გამოცემა საკმაოდ რთულია. 76 მმ-ზე ნაკლები ზომის მინიატურულ წიგნებს მიკროწიგნები ჰქვია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში დაცულ წიგნთა შორის ყველაზე პატარა – მიკროწიგნია „ომის გმირები“ (1912 წ.)

26X19 მმ. ზომის ფოტოალბომი შავი ტყავის ყდაშია ჩასმული, რომელსაც პანანინა ლითონის შესაკრავის ნაწილიც აქვს შემორჩენილი. ციცქნა წიგნი ოქროვარაყითა და ორივე ყდაზე ოქრომელნით შესრულებული მინიატურული წარწერებითაა დამშვენებული. ალბომში წარმოდგენილ პორტრეტებს შორისაა რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერლის (1809), 1812 წლის საფრანგეთ-რუსეთის ომის გმირის – პეტრე ბაგრატიონის ფოტოსურათიც. მიკროწიგნების ნაკითხვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია, თუმცა ამ მიკროწიგნის ფრჩხილისოდენა პორტრეტზე გასაოცარად აღიქმება თითოეული დეტალი.



ლელო ცუცქიბიძე

ხსიანკედელო



ვიცი, რომ სანიშნედ უამრავი რამ შეიძლება გამოვიყენოთ, ღია ბანათებით დანყებუდი, კანფუცის ქრატუნა ქალადღებით დამთავრებუდი, ისიც ვიცი, რომ თავდაც ამბადებთ სხვადასხვანირ სანიშნეებს, მაგრამ მე ერთი უცნაური სანიშნეს დამბადება მიინდა გასწავლოთ, უფრო სწორედ, დამბადება კი არა, დანვნა.

1. ამისთვის დავჭირდება წებო, სახაბავი, მკრანყედი და ოთხი სხვადასხვა ფერის ფურყედი. მე ავირჩიე ყვითედი, ღურჯი, მწვანე, წითედი. ეს იმიტომ, რომ კარგად მიხვდეთ, როგორ უნდა დანწათ, თორემ სხვა დროს ერთი ფერის ფურყედიც სავმარნისია.

1.



2.



2. თითოეულ ფურყდის სიგრძეზე სახაბავით მოვნიშნოთ და შემდეგ მკრანყდით ჩავჭრათ თანბარნი სიგანის ბოლები. მე ერთი სანტიმეტრის სიგანის ბოლები დავჭერი.


3.



3. ღურჯ ბოლს დავანებოთ ყვითედი ბოლი, ისე, რომ მივილოთ მართი კუთხე.


4. ყვითედ ბოლზე დავანებოთ მწვანე, ღურჯზე კი წითედი ბოლი.

4.



5. იმისთვის, რომ დანვნა გაგვიადვილდეს, ბოლები ისე დავდეთ, როგორც ფოტოზეა ნახვენები - - ნვეწით ბევით. გასსოვდეთ - ბოლების გადაკეცვისას სიბუსტე აუცილებელია. თავდაპირველად სამი ფერადი ბოლისკენ ჩამოკვეცოთ ერთი ყვითედი, მარჯვენა ბოლი.

5.




6.



6. ახდა სამი ბოლისკენ ჩამოკვეცოთ მარცხენა ღურჯი ბოლი.


7.



7. ვაგრძელებთ: სამი ბოლისკენ, ჩამოკვეცოთ უკვე მარჯვენა წითედ ბოლი.

8. ახლა ჩამოვკეცოთ მარცხენა მწვანე ზოლი.

8.




9. უკვე მიხვდებით, რომ ახლა მარჯვენა ცისფერი ზოლი იკვეება სამი ზოლისკენ.

9.



10.



10. შემდეგ მარცხენა ყვითელი.

11.



11. ისევ მარჯვენა, თლით აძვინჯავთ მწვანე.

12. ისევ მარცხენა, თლით აძვინჯავთ წითელი.

12.



13. კვეცავთ ღერხ და შემდეგ ყვითელ ზოლს და ამასობაში ბოლოშიც გავდივართ. ჯერ შიდა თნ ზოლს (ამ შემთხვევაში - ღერხს და ყვითელს) ვანებებთ ერთმანეთს.

13.



14.



14. შემდეგ გარე თნ ზოლს - მწვანეს და წითელს ჩამოვკეცავთ და ვანებებთ ერთმანეთს.

15.



15. აი, სანიშნე მზადაა! მასზე შეგიძლიათ სხვადასხვა ფიგურები დასწავთ.

16.



16a.



16-16ა-16ბ მე ჩემი საყვარელი წიგნის პერსონაჟი, პეპი დავხაფე, გამოვქვენი, შემდეგ სანიშნე დავანებე და მისი ავტორის წიგნში ჩავდე. ძალიან მოუხდა!

16b.



სულ ესაა. წარმაცებებს გისურვებთ!
პო, კიდევ აი, რა უნდა მეთქვა: აუცილებლად გამომიგზავნეთ თქვენი დანერგილი სანიშნეების ფოტოები „შოკოლიდის“ ფეისბუქგვერდზე. მინდა დავრწმუნდე, რომ თქვენ ეს ყველაფერი ჩემზე კარგად გამოგივიდათ.

ვინ მინდა ვიყო...

ნათია ჯანაშია

კონფიტური ტუჩო სანი

გაიცანით ცურა სანი,
ბიბნესი აქვს კრუსანის.

არ სცილდება თავის საცხობს,
ხან ცომს ბედს და ხანაც აცხობს.

იფ, იფ, იფ, იფ, რა სურნეღია!
უამრავი მსურვეღია.

მეძვირეა მეცად სანი,
ცხრა დარი ღირს ერთი ცადი.

კრუსანს ვი, ბარაქიანს,
სამი დარის კარაქი აქვს.

ფქვილს და შაქარს, რძეს და ვანილს
დასჭირდება ერთი დარი.

დარდი არ აქვს ცურა სანს,
ხუთ დარს უგებს კრუსანს.



შოკო - ტესტი

რას პპარავს ფანჯრიდან მსუნაგი კარდსონი ფრეკენ ბოკს, სამაგიეროდ ვი ხუთერიან მონეებს ყრის? (ასწრიდ დინდგრენი სახურავის ბინადარ კარდსონი“)



1



საშობაო კვინების ცხობისას რაბე აბრწყედებს ანცი პეპი ცომს? (ასწრიდ დინდგრენი პეპი გრძედინინდა“)



2




რას ავანუნებდა გრძედცხვირა ჯადოქარი მარსია, როცა თავის მეგობარ ჯადოქარ კუკოსთან მიფრინავდა? (თამნი ფსავაძე გრძედცხვირა ჯადოქარი მარსია, მეფე ბუთხუბ პირველი და სხვები“)



3



რომელი წარწერა არ გვხვდება მისცერ ვონკას უცნაურ ქარხანაში? (როად დადი ჩარდი და შოკოლადის ქარხანა“)



4





ეექსტრო მი-სი-ლო-ზე

ძათი ალთუნაშვილი



ზარი

არ დაფიქრდეთ, ისე მივსახ-
ეთ – რა გვიხმობს ვაჟკეთიღზე?
რა თქმა უნდა – ზარი! ზარს
რეჟენ ჯარზე, როცა სცუმრად
მოდის ვინმე. მადვიდარაც ზარით
გვადვილებს დიდიო. მაგრამ ის
თუ იყი, რომ ზარი მუსიკაღური
ინსტრუმენტიყავა?

ზარის ისტორია

პირველი ზარის შექმნას იტალიის ქალაქ ნოლას ეპისკოპოს
პავლინს მიანერენ. დაახლოებით, IV ს-ის მინურულის გადმოცემის
თანახმად, ეპისკოპოსმა სიზმარში მინდვრის ყვავილი, მაჩიტელა
ნახა, რომელსაც ზანზალაკის ფორმა აქვს. მაჩიტელა სასიამოვნო
ხმას გამოსცემდა. აქედან დაიბადა ზარის ფორმის ჩამოსხმის
იდეაც. ამჟამად, მსოფლიოში ყველაზე დიდი ზარი მეფე-
ზარია“. ის 200 ტონას იწონის, მისი დიამეტრი კი 6 მეტრი და
60 სანტიმეტრია.



ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმავე ზაზუნას დასჯა თაჯზარი.

გუი ჭიჭინაქე

ზარი – მუსიკაღური ინსტრუმენტი

ზარი – დასარტყამი ინსტრუმენტი, აქვს
ნაკვეთილი მსხლის ფორმა, შუაში ჩამოკიდებუ-
ლი ე.წ. „ენით“. ზარის მოძრაობისას „ენა“ ეჯახ-
ება მის კედლებს და გამოსცემს ულამაზეს ხმას.
ზარების ოჯახის პირველ ინსტრუმენტს კარილ-
ონი ერქვა. მისი ისტორია საეკლესიო ზარებით
ინყება და დღემდე პოპულარულია ევროპაში.
ზარმა, როგორც მუსიკალურმა ინსტრუმენტ-
მა, მოგვიანებით საფორტეპიანო ზანზალაკების
სახე მიიღო. არსებობს ხელის ზანზალაკებიც. მა-
თზე დაკვრა ინგლისში დაინყეს. პოპულარულია
ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც 10 000-ზე მეტი
ზანზალაკების ორკესტრი არსებობს.

ზარი სიმფონიუა ორკესტრში

ორკესტრში ზარი საფრანგეთის
დიდი რევოლუციის დროს შევიდა.
პირველმა კომპოზიტორმა კერუ-
ბინიმ გამოიყენა. ზარის ხმას თავის
ნანარმოებებში იყენებდნენ მოცარტი,
გლინკა, რიმსკი-კორსაკოვი, რახმანი-
ნოვი, პროკოფიევი და სხვა ცნობილი
კომპოზიტორები.
ორკესტრში ზარის ფუნქციას
ასრულებს ინსტრუმენტი, რომელიც
ბევრი ნაკვეთილი 12-18 ცილინდრის-
გან შედგება. სპეციალურიო ჯოხით
დარტყმისას მიიღება ჟღერადობა,
რომელიც ზარის ხმას გამოსცემს.



გათკლა

ზღარბი მიდის სკოლაში,
ჩანთით მიაქვს ვაშ-ლი.
იმეორებს გაკვეთილს:

– ერთი...

ორი...

სა-მი...

დაინახა კექსი,

– ოთხი...

ხუთი...

ექ-ვსი...

აერია დათვლა:

– ათი,

შვიდი,

რვა,

ცხრა...

ვინც ზღარბს დათვლას შეუსწორებს,

ის

პირველი

გა-ვა!



ილუსტრატორი დედა გუგუჩიძე



სიცინათლა

– მამა, დღეს ჩვენს მასწავლებელს
დაბადების დღე აქვს, საჩუქარი
გავუკეთე, – ეუბნება ლუკა მამას.

– გაკვეთილი ისწავლე კარგად?
– არა, სკოლაში არ წავედი.

ლუკა (7 წლის)

მარიმ საბავშვო ბაღში ახალი
სიმღერა ისწავლა:
„ჩამოდით, ჩამოდით, ხორბალს
გაჭმევთ გემრიელს“...
სალამოს, ბალიდან დაბრუნებულს,
დედა ეკითხება:

– დღეს რა გქონდათ ბაღში
სადილად?

– ხორბალი, – პასუხობს მარი.


მარი (4 წლის)

– ერთხელ ბებოს ისე დავუღაგე
ოთახი, ისე დავუღაგე, რო ის სად
არი, ეს სად არიო, სულ ეძებდა.

ქეთო (6 წლის)

თიკო მარის ეხვეწება, თოჯინა
მათხოვეო. მარი უარზეა.
– ბევრს თუ იწუნუნებ, საერთოდ არ
მოგცემ.
– არა, ბევრს არ ვიწუნუნებ. მარტო
ერთ ვიწუნუნებ – წუ-წუ! – ეხვეწება
თიკო.

(მარი 5 წლის, თიკო 4 წლის)



აღბათ ვეკვლას გიჟვართ სხასლისო საბავშვო ფილმების ფურება. მაგამ სშირად შეიძლება არც იცით, რომ ესა თუ ის, თქვენი საყვარელი ფილმი, შესაძლოა ცნობილი საბავშვო წიგნის ეკრანიზაცია იყოს. დასუქვობრლით ზეენს რსუბრეას „ეინომანი“ და დარწმუნებული ვარ, ზეერი საყვარელი ფილმის გმირს აღმოახენთ წიგნის ფურცლებზე და ბირიქით – წიგნის გმირებს – ეკრანზე.

იცით, რომ ფილმი „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“ სწორედ ასეთი ფილმების რიცხვს მიეკუთვნება. უფრო მეტიც, როალდ დალის ეს არაჩვეულებრივი ნიგნი, რომელიც ინგლისელმა მწერალმა 1964 წელს დაწერა, ორჯერ იყო ეკრანიზებული.

პირველად, ფილმი, სახელწოდებით „ვილი ვონკა და შოკოლადის ფაბრიკა“ რეჟისორმა ჯინ უაილდერმა 1971 გადაიღო, სადაც ვილი ვონკას როლს ტიმ ბარტონი ასრულებდა. მეორედ კი 2005 წელს ფილმი „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“ რეჟისორმა მელ სტიუარტმა შექმნა. ამჯერად მთავარ როლში ჯონი დეპი ვიხილეთ.

ბავშვობაში როალდ დალი კომპანია „კედბერის“ მიერ გამოშვებული შოკოლადის ე.წ. დეგუსტატორი იყო. ეს კომპანია ახალი პროდუქციის გამოშვებისას ბიჭუნების სკოლაში აგზავნიდა შოკოლადებს. კოლოფში ოქროსფერ ფოლგაში გახვეული შოკოლადის 12 ფილა იდო, რომელთაგან ერთ-ერთს ფილას ახალი, განსხვავებული გემო ჰქონდათ. ბავშვებს უნდა გაესინჯათ და ეთქვათ, მოეწონათ თუ არა. კომპანია ამით ერთგვან გამოკვლევას აწარმოებდა. როალდ დალი ამ სკოლაში სწავლობდა და სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას დაგემოვნებაში. სწორედ ეს გამოცდილება გახდა წიგნის დაწერის მიზეზი – მასში ავტორის ბავშვობის მოგონებებია.





საქონლო ეკონომიკა

ბაზარი - ადგილი ადამიანები ჰყიდიან თავიანთ მოყვანილ მოსავლს ან შინაური ცხოველების პროდუქტებს.

რეკლამა - საკუთარი საქონლის ქება, რათა უკეთ გაიყიდოს.

დანაშობი - დაგროვილი თანხა

საკვირაო ბაზარი

გაუმართავთ ცხოველებს
საკვირაო ბაზარი,
მოაგორეს ციყვებმა,
ნაბლი უზარმაზარი.
მაჩვი ყიდის ვაშლის ჩირს,
რკოს ასალებს მელია,
ზღარბის მარწყვის მურაბა,
ოჰ, რა გემრიელია.
დახლთან კვერნას ადგილი
დროულად დაეკავა,
ნამცხვარს ჰყიდის საოცარს -
არ სჭირდება რეკლამა.
ტურა აქებს ყოლოს ჯემს,
ჭარხალს ყიდის კურდღელი,
დათვს კი თაფლის ჭამისგან,
ასტკივნია მუცელი.
დანაშობი დახარჯეს,
დათვის ცელქმა ბელებმა,
კენკრის დიდი ღვეზელის,
ალარაა ხსენებაც.
ყველაფერი გაყიდეს,
დაიცალა დახლები
კმაყოფილნი დაბრუნდნენ
თავთავიანთ სახლებში.



მეგობრობა



მაკა ლდოკონენი

ვსურთ ზნეობის არდადეგებზე ბევრი იყნოსოთ, ახალი გასართობები და თამაშები გამოვივლიოთ? მაშინ წაიკითხოთ წიგნი, რომელს მთავარი გმირები ამ ქვეყნად ყველაზე მხიარული ოჯახის წევრები არიან.



ბებიას მიაუ ჰქვია, ბაბუს - ანუ, დედას - ცუსუნა, მამს - ბუსო, შვიდეებს - ძემი, ბუბიკო, ზუსუ და დუდო. საუბრიდან დადამე-ბამდე, ბაჭებიანი სრვისის ჩარბდიდან სოფელ ბრუგებრუგუმდე თავგადასვლები არა აქვდა ამ რვა ადამიანს და ... სვებსაც: ყვედაფრის გამყიდველ ნორას, მრდიდაქქო მასნებს, ჩაქვებიან დირექტორს, ფრიდონს, წითეზანს, დოს, სკდინსიმონს, გუ-რის, ნომეს, დიდის, ფუფას, ცყუზიდებაცუსას და მაცუსას, მარფას ძროხა მუძეინათი, ცარცანინა კუნისეს თხა ეწიდეოთი, ჩელოდან ვარცამითა და ჩიფებით, ჯადოქარვისის, ბაყაყ უაყუს, ჩაქვებსა და მსადაყას, თევზ ჰედაფონს, ძაღვ ჰავეს, სანჯესა და სარძვეს ბაჭებს...



„მხიარული ოჯახი და სხვებიც“ ლელა ცუციქირიძემ თავად დაასურათა. მისი ილუსტრაციები იუმორითაა გაჯერებული და მხიარულზე მხიარულ ტექსტს მეტ ხალისს მატებს. ამაში პირველივე ნახატიდან დარწმუნდებით, ჰაერში აფრენილ ბებია მიაუს რომ იხილავთ და შეიტყობთ, რა ბედი ეწვია ლანგრიდან გადმოცვნილ ბატებიან სერვისსა და ორმოცდაათ შაქარმოყრილ ბლითს.

გართობითა და თამაშ-თამაშით ავტორი ბუნების დაცვისა და მოვლის აუცილებლობაზეც გვი-მახვილებს ყურადღებას, პიკნიკზე მოქცევის, ტყიდან გამოგნების წესებსა და ტყეში წასაღები ნივთების სრულ ნუსხასაც გვთავაზობს. გვესაუბრება, სიყვარულზე, დიდებისა და ბავშვების მეგობრობაზე. ცდილობს დაგვაჯეროს, რომ იმდენად კარგი მასწავლებლებიც არსებობენ, რომელთა გამო მოსწავლეები კვირაობითაც ივლიდნენ სკოლაში, იმასაც ამტკიცებს, რომ ჩვენზეა დამოკიდებული ჯადოქარი ბოროტზე უფრო კეთილი იქნება თუ კეთილზე უფრო ბოროტი. გვაიძულებს მეტი ყურადღებით მოვუსმინოთ ადამიანებს ჩვენს გარშემო, დავიმახსოვროთ მხიარული, ლამაზი და კარგი დღეები, იმიტომ რომ მათი გახსენება დიდობაში უხასიათობისგან განგვეკურნავს.













ბავშვებო, „მხიარული ოჯახი და სხვები“ უფროსებსაც შესთავაზეთ წასაკითხად, იქნებ, ბავშვობაში დაბრუნება ისურვონ და მერე... შესაძლოა, ამ წიგნის გმირებზე მეტადაც კი გაგამხიარულონ.



აღწერის ინტერვიუ მწერად დედა ხეხილიძესთან



-  1. – რომელი იყო წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ დამოუკიდებლად?
რეზო ინანიშვილის „ბიბო“.
-  2. – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.
– გამიჭირდება მხოლოდ სამის დასახელება, მაგრამ მაინც: რეზო ინანიშვილი, ასტრიდ ლინდგრენი, იანოშ კორჩაკი.
-  3. თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი.
– „ჩვენ სალტკროკელები ვართ“, „მეფე მათიუმ პირველი“, „მგლის ლეკვები“.
-  4. – როდის დაწერეთ თქვენი პირველი საბავშვო წიგნი და რომელია ის?
დაახლოებით 10 წლის წინ და ესაა „გუდანდარას და გუდუ-გუდუს თავგადასავალი“, ამბავი ორ თოვლის კაცუნაზე.
-  5. – თქვენი ნაწარმოებებიდან რომელია ყველაზე საყვარელი?
– განსაკუთრებულად მიყვარს „მხიარული ოჯახი და სხვებიც“.
-  6. როგორ იგონებთ პერსონაჟებს?
– არაფერს ვიგონებ, თავად მოდიან ჩემთან და მე ისლა დამრჩენია, რომ მათზე დავწერო.
-  7. – სულ რამდენი საბავშვო წიგნი გაქვთ დაწერილი?
პატარა წიგნუკების ჩათვლით, ალბათ 15-მდე.
-  8. – ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?
– კი ვმუშაობ, ოღონდ საიდუმლოდ დავტოვებ, რა წიგნზე.
-  9. – თქვენი ზღაპრების გმირებიდან რომელია ყველაზე კეთილი?
უი, ბოროტი გმირი მე მგონი, არც მყავს. ყველა კეთილია თავისებურად.
-  10. – რის წაკითხვას გვირჩევთ პატარებს?
– ასტრიდ ლინდგრენის ყველა წიგნს, რეზო ინანიშვილის მოთხრობებს, იანოშ კორჩაკის „მეფე მათიუმ პირველს“, თანამედროვე ქართველი ავტორების წიგნებს. მათ შორის, ირმა მალაცვიძის „სატკბილეთის ქვეყანას“ (ოღონდ ფრთხილად, ისეთი გემრიელი წიგნია, არ შემოგეჭამოთ) ვასო გულეურის „მიკო და რეის“, თეა ლომაძის „წერილი ბოთლში“, თამარი ფხაკაძის „გრძელცხვირა ჯადოქარი მარსია“. მარიამ ნიკლაურის ლექსებს და ა.შ. აუ, კიდევ ბევრზე ბევრი წიგნი მინდა გირჩიოთ, მაგრამ არა უშავს, ჯერ ესენი წაიკითხეთ, დანარჩენს სხვა დროს შემოგთავაზებთ.

მთავარი შოკოლიტელი: ირმა მალაცვიძე
 შოკოლიტმცოდნე: მარიამ ნიკლაური
 დანარჩენი შოკოლიტელები: ლელა ცუცქერიძე, ვასილ გულეური, რობი მესხი,
 დიანა ანფიმიადი, გივი ჩილვინაძე, ნინო სადღობელაშვილი
 შოკ-დიზაინერი: ნიკა ხვედელიძე



ISSN 2587-4888

ყურნალი გამოდის საქართველოს განათლების,
 მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
 სამინისტროს და „სსიპ ქართული ლიტერატურის
 ეროვნული ფონდი“ მხარდაჭერით



საქართველოს განათლების,
 მეცნიერების, კულტურისა
 და სპორტის სამინისტრო



ქართული ლიტერატურის
 ეროვნული ფონდი

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“
 ელ-ფოსტა: jurnali.Shokoliti@gmail.com

